სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №227

ქ. ბაღდათი 12 აგვისტო 2019 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტს, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის კახა ენუქიძის სახით (ქალაქ ბაღდათი, წერეთლის # 9) (შემდგომში"შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი.მ. "ეკა მაჩიტაძე"-ს (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _,,ხელშეკრულება") ორგანიზაციასა და მომწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლისმიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ ,,შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „მომსახურება"– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 შავი ზღვის მაგნიტური ქვიშის სანაპიროზე, კურორტული სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ფასების ცხრილი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს). 2.3 კლასიფიკატორის კოდი – 85300000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი".

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყოვნებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი

ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს შავი ზღვის მაგნიტური ქვიშის სანაპიროზე, კურორტული სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება 12 ბენეფიციარისთვის , ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

5.2 ღონისძიებაში მონაწილე ბენეფიციარებს მიეკუთვნება შესაბამისი კომისიის მიერ შერჩეული პირები

5.3 სასტუმრო უნდა მდებარეობდეს მაგნიტური ქვიშის სანაპიროსთან პირველ ზოლში, უნდა იყოს კეთილმოწყობილი, კომფორტული , სასტუმროს უნდა გააჩნდეს ორი, სამი და ოთხ საწოლიანი, საცხოვრებელი ნომრები, მოწესრიგებული სველი წერტილებით.

5.4 სასტუმროს ყველა ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს კონდენციონერითა და შესაბამისი ავეჯით (კარადა, ტუმბო, მაგიდა, სკამები, სარკე).

5.5 სასტუმროში დაცული უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების წესები და ყველა სართულზე უნდა იყოს ცეცხლმაქრი.

5.6 სასტუმროს უნდა ჰქონდეს ადაპტირებული ჩასასვლელი ზღვაში, იზოლირებული ეზო დასასვენებელი სკამებით, გასართობი მოედნით.

5.7 „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს ბენეფიციარების დღეში სამჯერადი კვება კეთილმოწყობილ კვების ბლოკში, მაღალკალორიული საკვებით, დიაბეტით დაავადებულებისათვის დიეტური საკვებით, სამკურნალო მასაჟით, ასევე უზრუნველყოს სამაშველო და სადღეღამისო პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა.

5.8 ფასების ცხრილში მითითებული ჩაი და კერძები უნდა იყოს ცხელი, ხოლო სალათები და სასმელები -
შესაბამის ტემპერატურაზე გაგრილებული.

5.9 საკვების საგემოვნო თვისებები, კვებითი ღირებულება და ვიზუალური მხარე უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებსა და ნორმებს.

5.10 თითოეული პროდუქტის ულუფის ზომა უნდა შეესაბამებოდეს ფასების ცხრილში მითითებულ მონაცემებს.

5.11 დაუშვებელია ვადაგასული და საკვებად უვარგისი პროდუქტების მიწოდება.

5.12 ჭურჭელი უნდა იყოს დაუზიანებელი, საუკეთესო სანიტარულ მდგომარეობაში. დაუშვებელია გატეხილი, გაბზარული ან სხვა მიზეზით არასათანადო ვიზუალურ და ჰიგიენურ მდგომარეობაში მყოფი ჭურჭლის გამოყენება.

5.13 ყველა კერძი უნდა იყოს ახლად მომზადებული.

5.14 ბენეფიციართა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს „შემსყიდველი“.

5.15 ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ადგილზე შეამოწმოს „მიმწოდებლი“-ს მიერ შეთავაზებული პირობები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება– ჩაბარების წესი

6.1 ,,შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტს მიიღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ.

6.2 „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, საბოლოო მიღება– ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6.3 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება

6.4 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი“–ს წერილობითი მიმართვის საფუძველზე,

რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და

ღირებულება; ბ) საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი.

გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.-ს ანგარიშფაქტურა (დ.ღ.გ.-ს

გადამხდელობის შემთხვევაში)

7.2 ანგარიშსწორების ფორმა: (გადარიცხვა) ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევ
დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების
ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი"
ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი
შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების
დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი
ოდენობით გაზრდა.

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,
რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ქვეკონტრაქტორები

9.1 ,,მიმწოდებელმა“ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ.

9.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ქვეკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. მხარეთა უფლება–მოვალეობები

11.1 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია

11.2 ,,შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

11.3 ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

11.4 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

12.3 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ გადაიხდის პირგასამტეხლოს, სახელშეკრულებო თანხის 80%-ის ოდენობით.

12.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გასაწევი მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

12.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

შემსყიდველი:
სსიპ “თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი”
ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.#9
სს “ლიბერთი ბანკის” ბაღდათის ფილიალი
ს/კოდი 225064471
კოდი TTREEGE22
ერთიანი სახაზინო ანგარიში
ანგ.200122900

მომწოდებელი:
ი.მ.„ეკა მაჩიტაძე“
ოზურგეთის რაიონი, დაბა ურეკი,გურიის ქუჩა
სს „საქართველოს ბანკი“
ს/კ 09001003069
კოდი : BAGEGE22
ა/ა GE73BG0000000923006100

მერის პირველი მოადგილე:
/კახა ენუქიძე/

Kakha Enukidze

Digitally signed by Kakha Enukidze
Date: 2019.08.16 10:12:43 +04'00'

ინდ მეწარმე:
/ეკა მაჩიტაძე/